ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“

(CPV – 45400000) – შენობის დასრულების სამუშაოები

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლის და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების საფუძველზე

ქ. თერჯოლა

2015 წელი

ტექნიკური დავალება

1. შესყიდვის ობიექტი:

ა) ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის საბავშვო ბაღებში სამშენებლო სარემონტო სამუშაოები დანართი №2–ის მიხედვით.

ბ) ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

2. მიწოდების ადგილი, ვადა და პირობები:

ა) სამუშაოების მიწოდება უნდა განხორციელდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. სიქთარვის, სოფ. ახალთერჯოლის ტერიტორიაზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღის ვადაში.

ბ) შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს.

3. ანგარიშსწორების პირობები:

ა) სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით.

ბ) ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ლარებში, კონკრეტული სამუშაოების ფაქტიური შესრულებულებისა და მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, შემსყიდველის გადაწყვეტილებით საერთო ღირებულების 5% მიმწოდებელს შესაძლებელია აუნაზღაურდეს საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ.

გ) ანგარიშსწორება მოხდება კონკრეტული სამუშაოების შესრულების აქტის წარმოდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

დ) შემსყიდველს სამუშაოს შესრულების ნებისმიერ ეტაპზე უფლება აქვს მოითხოვოს საექსპერტო დასკვნა შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესახებ, რომლის ღირებულებასაც ანაზღაურებს მიმწოდებელი. უარყოფითი საექსპერტო დასკვნის შემთხვევაში შემსყიდველი განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზების გამოსასწორებლად.

ე) სავანსო ანგარიშსწორება –არ გამოიყენება.

4. საგარანტიო ვადები

შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს 12 თვეს.

5. ტექნიკური დოკუმენტაცია

ა) მიმწოდებლები ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის მეშვეობით წარადგენენ შემდეგ დოკუმენტაციას:

- ✓ რეკვიზიტები დანართი №1–ის მიხედვით.
- ✓ ფასების ცხრილი დანართი #2-ის მიხედვით.

ბ) მიმწოდებელს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

6. დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში, ან ტელეფონით. მისამართი: ქ. თერჯოლა, რუსთაველის ქუჩა №109, საკონტაქტო პირი:

ნანული დევიძე; T: 595 097 975

ხელშეკრულება პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებულიელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობები დაზუსტდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი

ქ. თერჯოლა --- წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი“, წარმოდგენილი ---- სახით (შემდგომში “შემსყიდველი”) და მეორეს მხრივ შპს „“, მისი დირექტორის ---- (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ შემდეგზე:

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება,

ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: შენობის დასრულებითი სამუშაოების შესყიდვა, რომელიც მოცემულია მიმწოდებლის ხარჯთაღრიცხვის ცხრილში, თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

2.3 გამ. ელექტრონული ტენდერის განცხადების ნომერი - ----------

2.4 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ---- ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით;

2.5 კლასიფიკატორის კოდი

2.6 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების დადებიდან 2015 წლის ——————————.

3. სტანდარტები

3.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაო უნდა შესაბამებოდეს დადგენილ სამშენებლო ნორმებს, სტანდარტებსა და წარმოდგენილ ტექნიკურ პირობებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირება, მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5. სამუშაოს მიწოდების პირობები და გარანტია

5.1 სამუშაოს მიწოდება უნდა განხორციელდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ დანართ №2-ში მითითებულ საბავშვო ბაგა-ბაღებში.

5.2. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილი სატენდერო წინადადებით განსაზღვრული სამუშაოები დაასრულოს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 45 დღის ვადაში.

5.3 შემსყიდველს უფლება აქვს შეცვალოს ფასების ცხრილით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები ხელშეკრულების ფასისა და მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებაში შემოთავაზებული ერთეული ფასების შეუცვლელად.

5.4 იმ შემთხვევაში, თუკი შემსყიდველთან შეთანხმებით ხორციელდება უკეთესი ხარისხობრივი მახასიათებლების მქონე სამუშაოს მიწოდება, მახასიათებლების ცვლილება ფორმდება ხელშეკრულების დანართის სახით.

5.5 მიმწოდებელმა სამუშაოს დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა განათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

5.6 მიმწოდებელი ვალდებულია ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში 1 (ერთი) წლის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით განახორციელოს საგარანტიო მომსახურება და ხარვეზების გამოსწორება (სტიქიური და ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული შემთხვევების გარდა).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 სამუშაოს მიღება-ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად, კონკრეტული სამუშაოს შესრულების შემდეგ. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ხარჯთაღრიცხვით დადგენილ მოცულობათა ათვისებისას.

6.2 კონკრეტულ სამუშაოთა შესრულების შემდეგ მიმწოდებელი წერილობით მიმართავს შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშსწორების მოთხოვნით.

6.3 შემსყიდველს სამუშაოს შესრულების ნებისმიერ ეტაპზე უფლება აქვს მოითხოვოს საექსპერტო დასკვნა შესრულებული სამუშაოების მოცულობისა და ხარისხის შესახებ, რომლის ღირებულებასაც ანაზღაურებს მიმწოდებელი. უარყოფითი საექსპერტო დასკვნის შემთხვევაში შემსყიდველი მიმწოდებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზების გამოსასწორებლად.

6.4 იმ შემთხვევაში, თუკი შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივი მახასიათებლები განსხვავდება

მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებულისაგან, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას სამუშაოს მიღებაზე, რაც მიმწოდებელს არ ანთავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებისაგან.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, მიმწოდებლის მოთხოვნის შესაბამისად, კონკრეტული სამუშაოების ფაქტიური შესრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის გადაწყვეტილებით საერთო ღირებულების 5% მიმწოდებელს შესაძლებელია აუნაზღაურდეს საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ.

7.2 შემსყიდველი მიმწოდებელს საქონლის ღირებულებას აუნაზღაურებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.3 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: - წერილობითი მოთხოვნა.

- შესრულებული სამუშაოების აქტი (ფორმა №2) -ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადებითი საექსპერტო დასკვნა შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის შესახებ (შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში) - საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებით შედგენილი საგადასახადო დოკუმენტი.

7.4 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია სამუშაოთა აუთვისებელი მოცულობების შესრულებასა და მის ანაზრაურებაზე.

7.5 ანგარიშსწორება ხორციელდება ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის მიერ.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ

ის გაფორმებულია წერილობით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

8.2 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასების ცხრილი (დანართი №2) წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს, რომლის შეცვლაც შემსყიდველთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9. გადასახადები და დაბეგვრა

9.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელ სამუშაოსთან დაკავშირებულ ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

9.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1 %-ის ოდენობით.

10.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვიტის შემთხვევაში მხარეები იხდიან პირგასამტეხლოს 10%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია სამუშაოს შესრულება.

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გაჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა

გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს

გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. გამოყენებული სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
_____	_____

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

_____ _____

(პრედენდენტის დასახელება) (ხელმოწერა)

_____

(სახელი, გვარი, თანამდებობა) (ბ.ა)